

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი №16

ქ. ახმეტა

21 ოვნისი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა:

თამაზ წითელაური-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

ს.ხ.დო.მა.ს ეს წრებოდონ ენ:

ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრები:

- გ. ჭიტესაშვილი, ა. შათირიშვილი, ნ. აბალოიძე,
- გ. ჯუგაშვილი, რ. ბადაკაშვილი, თ. ბორჩაშვილი,
- ბ. ჭიჭიკლიშვილი, ც. გრძელივანიშვილი,
- მ. ალხანაშვილი, ზ. გარსევანიძე, ზ. ქინქლაძე,
- ა. მაილაშვილი, ლ. გოგოთიძე, ა. მექევრიშვილი,
- ა. ნახუცრიშვილი,

სხდომა განხსნა 12th საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ განხსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

- „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

- „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ზურაბ გარსევანიძე,
თანამომხსენებელი დავით შაშიაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უფარა დღის წესრიგის მიღებას, რასაც საკრებულოს ყველა წევრი დაეთანხმა.

მოსამინება: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა დარბაზს გააცნო საკითხი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტით გათვალისწინებულია ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილის ზრდა 1 090,1 ათ. ლარით („ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის №693 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 02 ივნისის №1092 განკარგულება)

გადასახდელები (ხარჯები)

ინფრასტრუქტურა, მშენებლობა, რეაბილიტაციადა

ექსპლუატაცია

ზრდა (+)

- სოფ. ყვარელწყლის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია + 383,9 ათ. ლარი
- ახმეტა- ბაჩარის საავტომობილო გზის 22-ე კილომეტრიდან სოფ. ძიბახევამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია + 442,8 ათ. ლარი.
- სოფ. ჯოვილოში მდ. ალაზანზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა +101,1 ათ. ლარი.
- მდ. ალაზანზე დუისი-ქვ. ხალაწნის დამავავშირებელი საცელფეხო ხიდის მოწყობა + 162,3 ათ. ლარი.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარებ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება. რასაც საკრებულოს ყველა წევრი ერთხმად დაეთანხმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №14 – „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მოისმონეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე პირებს გააცნო საკითხი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გამოწვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მაღაში შესვლამდე განსახორციელებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობით.

2017 წლის 1 ივნისამდე საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ 2015 წლის საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, კანონის მიზნების განსხვორციელებლად უზრუნველყონ თანამდებობათა ფუნქციების შინაარსის გათვალისწინებით საჯარო სამსახურში დასაქმებული პროფესიული ხელშეკრულებითა და საჯარო მოხელეების იურარქიულ რანგებში, ხოლო მრომითი ხელშეკრულებითა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასასაქმებელთა შესაბამის პოზიციებში განაწილება.

დამხმარე ან არამუდმივ ამოცანათა შემსრულებელთა შტატები უნდა ამოღებულ იქნას საშტატო ნუსხიდან და მათთან გაფორმდება შრომითი კლშევრულება, ხოლო სინაარსის გათვალისწინებით აყვანილ შტატების შემსრულებელთა დასაქმებულთა ფუნქციების შედეგების საშტატო ნუსხაში შეყვანა.

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარებ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება. რასაც საკრებულოს ყველა წევრი ერთხმად დაეთანხმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №15 – „ახმეტის ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 პერიოდის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოსამინტებელი ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პარატის საშტატო წუსხის დამტკიცების „შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - დავით შაშიაშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე პირებს გააცნო საკითხი:

2017 წლის 1 ივნისის კანონთან (საჯარო სამსახურის შესახებ) შესაბამისობაში იქნება მოვალილი საჭიათო წესება.

საკრებულოს აპარატში არის 9 შტატი. 2 გადავა (დამხმარე მოსამსახურეები მძღოლი და მთავარი) შრომითი ხელშეკრულებით და დარჩება 7 შტატი.

საკითხის ორგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დაყენა საკითხის მიღება. რასაც საკრებულოს ყველა წევრი ერთხმად დაეთანხმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №16 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყრინვება.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს რაიმე წინადადების დაყენების სურვილი არ გაძლიერდა.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12⁴⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი:



თამაზ წითელაური.